მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი № 14

ქ.მარტვილი 25 ნოემბერი., 2022 წელი

სხდომა დაიწყო 12[00] საათზე, დამთავრდა 13[00] საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, შალვა ბახია, ელიზბარ ახვლედიანი, ნათია ბჟალავა, აკაკი ხუნწელია.
სხდომას ასევე ესწრებოდნენ; სიმონ რევია–მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი, ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე ლევან სურმავა.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ; /მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

2. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მესამე კვარტლის მოსმენისა და შეფასების თაობაზე;
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

3. „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; /მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
4. „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 ოქტომბრის №64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

პირველი საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 8 წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და ასევე შესაბამისი კომისიების დასკვნები და შენიშვნები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ ლევან სურმავამ ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ზურაბ მელიავამ აღნიშნა რომ 2023 წლის მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებით საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ წარადგინა გარკვეული შენიშვნები და ამ შენიშვნების საფუძველზე მიაჩნია რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს დაუბრუნდეს წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი რათა გათვალისწინებულ იქნას შესაბამისი შენიშვნები, თუმცა აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი ფორმით შევიდეს საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში და მის დაბრუნებაზე იმსჯელოს თავად საკრებულომ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკითხის საკრებულოს დღის წესრიგის პროექტის შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 8. წინააღმდეგი 0.

ბიურომ გადაწყვიტა: მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

მეორე საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 8 წევრმა

მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მესამე კვარტლის მოსმენისა და შეფასების თაობაზე;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/ ბონდო თოფურიას სთხოვა განმარტებები გაეკეთებინა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მესამე კვარტლის მიმოხილვა ნაზრდი ჯამით, მარტვილის

მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტით 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

სხდომის თავმჯდომარემ ლევან სურმავამ ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მესამე კვარტლის მოსმენისა და შეფასების თაობაზე საკითხის საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 8. წინააღმდეგი 0.

ბიურომ გადაწყვიტა: მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მესამე კვარტლის მოსმენისა და შეფასების თაობაზე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

მესამე საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 8 წევრმა

მოისმინეს3. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს განუმარტა, რომ საკითხი ეხებოდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ვაზ 212114–ის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანას.

სხდომის თავმჯდომარემ ლევან სურმავამ ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 8. წინააღმდეგი 0.

ბიურომ გადაწყვიტა: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

მეოთხე საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 8 წევრმა

მოისმინეს 4. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 ოქტომბრის №64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და აღნიშნა, რომ საკითხი ეხებოდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების TOYOTA PRADO სახ. ნომრით SZS900 –ის საპრივატიზაციო გეგმაში შეტანას.

სხდომის თავმჯდომარემ ლევან სურმავამ ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითთან დაკავშირებით.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 ოქტომბრის №64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის საკრებულოს დღის წესრიგის პროექტის შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 8. წინააღმდეგი 0.

ბიურომ გადაწყვიტა: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 ოქტომბრის №64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე ლევან სურმავა